# პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების დამატებითი პირობები

ქ. ბათუმი

11 აპრილი 2022 წელი

**1. მხარეები**

| | | |
|---|---|---|
| **1.1.** | **ბანკი:** | |
| 1.1.1. | სახელწოდება (საფირმო): | სს საქართველოს ბანკი; |
| 1.1.2. | საიდენტიფიკაციო ნომერი: | 204378869; |
| 1.1.3. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.1.3.1. | სახელი და გვარი: | დავით ბეჟიაშვილი; |
| 1.1.3.2. | თანამდებობა/სტატუსი: | გადახდების მართვის დეპარტამენტის დირექტორი; |
| **1.2.** | **კლიენტი:** | |
| 1.2.1. | სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი: | სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო; |
| 1.2.2. | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი: | 245631455; |
| 1.2.3. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.2.3.1. | სახელი და გვარი: | ზაურ ახვლედიანი; |
| 1.2.3.2. | პირადი ნომერი: | 61007001682; |
| 1.2.3.3. | თანამდებობა/სტატუსი: | დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი; |

**2. მხარეთა დამატებით შეთანხმებული პირობები**

| | | |
|---|---|---|
| 2.1. | **კლიენტის** საქმიანობის სფერო | მუზეუმი; |
| 2.2. | **კლიენტთან** ანგარიშსწორების ანგარიში: | 740407499; |

3. **მხარეები**, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **კანონმდებლობის** შესაბამისად დებენ **ხელშეკრულებას**, რომლის საფუძველზეც **ბანკი** გაუწევს **კლიენტს პოს-ტერმინალით მომსახურებას**, რის სანაცვლოდაც **კლიენტი** იღებს ვალდებულებას გადაუხადოს **ბანკს საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ხელშეკრულებითა** და **კანონმდებლობით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

**4. მომსახურების პირობები:**

| | | |
|---|---|---|
| 4.1. | სახელმწიფო შესყიდვის კოდი: | CPV 66100000; |
| 4.2. | **საკომისიოს** ჯამური მოცულობა: | 4 900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარი; |
| 4.3. | **ხელშეკრულების** მოქმედების ვადა: | 01.04.2022; |
| 4.4. | **ხელშეკრულების** ფარგლებში **მომსახურების** ვადა: | 31.12.2022; |
| 4.5. | სხვა პირობები: | იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** მიერ მოთხოვნილ იქნება ისეთი მომსახურება/ოპერაცია, რომლის გაწევითაც/განხორციელებითაც გადაჭარბებულ იქნება **საკომისიოს** ჯამური მოცულობა, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განაცხადოს უარი ნებისმიერი შესაბამისი მომსახურების გაწევაზე/ოპერაციის განხორციელებაზე; |

**მხარეთა ხელმოწერები**

**ბანკი**

David Bezhiashvili 01017015265

Digitally signed by David Bezhiashvili
Date: 2022.04.26 17:05:54

**კლიენტი** /

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

თარიღი: 11 აპრილი 2022 წელი

სერვის ცენტრის N: 33

# განაცხადი პოს-ტერმინალის მომსახურებით სარგებლობის შესახებ

| კლიენტის რეკვიზიტები: | |
|---|---|
| სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი: | სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო |
| საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი: | 245631455 |
| საკორესპონდენტო მისამართი: | ქ. ბათუმი, გუდიაშვილის 4; |
| ტელეფონის ნომერი: | 577906002 / 577909101; |
| საქმიანობის სფერო: | მუზეუმი |
| ანგარიშსწორების (საბანკო) ანგარიშის ნომერი: | 740407499 |
| წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი: | ზაურ ახვლედიანი; ს/კ 61007001682 |

1. პოს-ტერმინალის ტიპი: პოს-ტერმინალი

2. პოს-ტერმინალის მეშვეობით შესრულებული საბარათე ოპერაციების შესახებ ამონაწერის ელ. ფოსტაზე გაგზავნის ფუნქცია:

☐ მოქმედებს - ამონაწერის მიმღების ელ. ფოსტის მისამართი:______________________

ამონაწერის მიღების პერიოდულობა:

☐ ყოველდღიური ☐ ყოველთვიური

☐ ყოველკვირეული

3. მომსახურების გამწევის მიერ პოს-ტერმინალით მომსახურების („სამადლობელის“) მიღების ფუნქცია:

☐ მოქმედებს

4. განაღდების ოპერაციის ფუნქცია:

☐ მოქმედებს

5. ექსკლუზიურობის პირობა:

X სტანდარტული ექსკლუზივი ☐ ექსკლუზივი პირობით

☐ ნაწილობრივი ექსკლუზივი ☐ არ მოქმედებს

ხელმოწერა ______________

6. ბარათის ტიპები, რომლის მეშვეობითაც დაშვებულია საბარათე ოპერაციისა და პოს-ტერმინალით მომსახურების პირობებით გათვალისწინებული სხვა ტიპის ოპერაციების შესრულება და საკომისიოს მოცულობა:

| ბარათის ტიპები | ჩართულია ტერმინალზე | საკომისიოს მოცულობა ბარათით ჩატარებული ყოველი საბარათე ოპერაციისთვის, შეადგენს საბარათე ოპერაციის თანხის: |
|---|---|---|
| Visa/Mastercard-ის სს საქართველოს ბანკის მიერ ემიტირებული ბარათები და Georgian Card ბარათები | X | 1.50%-ს - მინიმუმ 0.10 ლარს |
| Visa/Mastercard-ის საქართველოს ტერიტორიაზე ემიტირებული ბარათები, გარდა სს საქართველოს ბანკის მიერ ემიტირებული ბარათებისა და Georgian Card ბარათებისა | X | 2%-ს - მინიმუმ 0.10 ლარს |
| Visa/Mastercard-ის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ემიტირებული ბარათები | X | 2%-ს - მინიმუმ 0.10 ლარს |
| American Express საკრედიტო და American Express Rewards Card-ის ბარათები | X | 3.0%-ს - მინიმუმ 0.15 ლარს |
| American Express PLUS-ისა და SOLO PLUS Card-ის სს საქართველოს ბანკის მიერ ემიტირებული ბარათები | X | 1.50%-ს - მინიმუმ 0.10 ლარს |
| Diners Club/Discovery/UnionPay/JCB ბარათები | X | 3.0%-ს - მინიმუმ 0.15 ლარს |

| საკომისიოს ტიპი | მოქმედებს | მოცულობა | |
|---|---|---|---|
| ფიქსირებული საკომისიო | X | 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი | თვეში, ბანკის მიერ კლიენტისთვის გადაცემული თითოეული პოს-ტერმინალისთვის. |
| კომბინირებული საკომისიო | | | თვეში, ბანკის მიერ კლიენტისთვის გადაცემული თითოეული პოს-ტერმინალისთვის. |

---

7. საკომისიოს გადახდის პირობები:

- საბარათე ოპერაციის საკომისიოს დაკავება განხორციელდება უაქცეპტოდ კლიენტის ანგარიშზე საბარათე ოპერაციის თანხის ჩარიცხვამდე.
- ფიქსირებული საკომისიოს გადახდა უნდა განხორციელდეს შესაბამისი თვის დასრულებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში მხოლოდ იმ პოს-ტერმინალისთვის, რომლის მეშვეობითაც თვის განმავლობაში განხორციელებული საბარათე ოპერაციების ჯამური თანხა ნაკლებია 5000 (ხუთი ათასი) ლარზე.

---

წინამდებარე განაცხადზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ: ა) განაცხადით განსაზღვრული ინფორმაცია არის ზუსტი და უტყუარი; ბ) სრულად გავეცანი და ვეთანხმები ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge განთავსებულ საბანკო მომსახურების საერთო პირობებსა და პოს-ტერმინალით მომსახურების პირობებს; გ) ვეთანხმები პოს-ტერმინალზე ჩატარებული გადახდების შესახებ ამონაწერი გაიგზავნოს წინამდებარე განაცხადში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად; დ) ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერი პირისგან (მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო ორგანოსგან), ნებისმიერი ფორმით მიიღოს და დაამუშაოს ჩემს მიმართ შესრულებული ნაღდი ფულით ანგარიშსწორების შესახებ მონაცემები, მიიღოს და დაამუშაოს საკონტროლო-სალარო აპარატის ფარგლებში ბანკის პოს-ტერმინალის მეშვეობით აღრიცხული ნაღდი ფულით ანგარიშსწორების შესახებ მონაცემები, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება საგადასახადო ორგანოსთვის პოს-ტერმინალის მეშვეობით გასაგზავნი/გაგზავნილი მონაცემებით. ამასთან, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, გადავცე ბანკს, მოთხოვნით განსაზღვრული პერიოდისთვის ჩემს მიმართ შესრულებული ნაღდი ფულით ანგარიშსწორების შესახებ მონაცემები/დოკუმენტაცია; ე) ბანკი უფლებამოსილია, საბანკო მომსახურების საერთო პირობების შესაბამისად, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეცვალოს პოს-ტერმინალით მომსახურების ნებისმიერი პირობა, გარდა წინამდებარე განაცხადით განსაზღვრული იმ პირობ(ებ)ისა, რომელიც განსაზღვრავს წინამდებარე განაცხადის კლიენტის მიერ ხელმოწერის შესაბამისი მომენტისთვის საკომისიოს მოცულობის ბანკის მიერ დადგენილი სტანდარტული მოცულობისგან განსხვავებულ მოცულობას. ამასთან, წინამდებარე განაცხადში მითითებული სტანდარტული საკომისიოები მითითებულია მხოლოდ თვალსაჩინოებისთვის.

კლიენტის ხელმოწერა ____________